



## **HIPPO** 7<sup>th</sup> INTERNATIONAL ENGLISH LANGUAGE OLYMPIAD ENGLISH WITHOUT BORDERS

**GLOBAL HIPPO ASSOCIATION** ატარებს უნიკალურ მსოფლიო ოლიმპიადას ინგლისურ ენაში **HIPPO**, რომლის მსგავსი ჯერ არ ჩატარებულა საქართველოში!

**წაიკითხეთ ეს დოკუმენტი ბოლომდე და დარწმუნდებით ამ შეფასების ჭეშმარიტებაში!**

**ოლიმპიადაში** მონაწილეობას იღებს 6-19 წლის ასაკის მქონე ნებისმიერი სკოლის ნებისმიერი მოსწავლე მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან.

**ოლიმპიადა** სამ რაუნდად - **შესარჩევ, ნახევარფინალურ** და **ფინალურ** ტურებად ტარდება; საქართველოში **ოლიმპიადას** ორგანიზებას უკეთებს **GLOBAL HIPPO ASSOCIATION**-ის წარმომადგენელი საქართველოში, რეგიონის კოორდინატორი - საერთაშორისო ასოციაცია „ბალავარი“.

**ოლიმპიადის** შესარჩევი და ნახევარფინალური ტურები საქართველოში ტარდება, ხოლო ფინალური ტური - **ვენეციაში**(იტალია).

**ოლიმპიადაში** მონაწილეობის მსურველმა მოსწავლემ სამივე ეტაპზე უნდა გაიაროს **GLOBAL HIPPO ASSOCIATION**-ის მიერ შედგენილი ტესტები, რაც **Gateway Awards**-ის გამოცდების გავლას ნიშნავს.

### **HIPPO და მისი მიზნები**

**ოლიმპიადა** არის საერთაშორისო ღონისძიება, რომელიც ხელს უწყობს ინგლისური ენის პოპულარიზაციას მთელს მსოფლიოში; იგი სხვადასხვა ქვეყნის მოსწავლეებს ამხნევებს შეეჯიბრონ ერთმანეთს ინგლისური ენის ცოდნაში; **ოლიმპიადა** საუკეთესო და თვალსაჩინო საშუალებაა მოზარდებში გუნდური მუშაობის ჩვევების ჩამოსაყალიბებლად; უზრუნველყოფს იდენტურობისა და ინტეგრაციის ზოგადი გრძნობის განვითარებას. ამასთანავე, ხელს უწყობს მასწავლებელთა შორის თანამშრომლობას.

**ოლიმპიადის** ძირითად მიზანს წარმოადგენს, სხვადასხვა ქვეყნის მოზარდთა შორის მეგობრული ურთიერთობების მდგრადი საფუძვლის ჩაყრა და განვითარება; საერთაშორისო ურთიერთგაცება, კონკურენტუნარიანობის სპორტული სულისკვეთების ჩამოყალიბება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის იმ მოზარდებში, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ინგლისური ენის ღრმად შესწავლით.

## ოლიმპიადის წესები

### 1. ოლიმპიადის ჩატარების თარიღი და ადგილი

ოლიმპიადის ჩატარების თარიღები:

- I – შესარჩევი ტური - 2019 წლის 23-24 თებერვალს,
- II – ნახევარფინალური ტური – 2019 წლის 30 მარტს,
- III – ფინალური ტური – 2019 წლის 11-12 მაისს.

ოლიმპიადის ჩატარების ადგილები:

- I – შესარჩევი ტური ჩატარდება თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში, რომელთა შერჩევა მოხდება ოლიმპიადაში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობისა და საცხოვრებელი ადგილის საფუძველზე; გასათვალისწინებელია ის, რომ თუ რომელიმე კონკრეტული ქალაქიდან(რაიონიდან) ოლიმპიადაში მონაწილეობის მსურველები აღმოჩნდება 90-ზე ნაკლები, მაშინ ამ ქალაქში(რაიონში) მაცხოვრებელ მოსწავლე-თათვის ოლიმპიადა ჩატარდება ტესტირების სხვა უახლოეს ცენტრში.
- II – ნახევარფინალური ტური ჩატარდება თბილისსა და რამდენიმე სხვა რეგიონალურ ცენტრში. ქალაქების შერჩევა განხორციელდება ნახევარფინალურ ტურში გასულ მოსწავლეთა უმრავლესობის საცხოვრებელი ადგილების მიხედვით.
- III – ფინალური ტური ჩატარდება იტალიის საოცნებო ქალაქ ვენეციაში.

### 2. HIPPO–ს საოლიმპიადო ზონების განსაზღვრა

ოლიმპიადის მონაწილეები დაიყოფიან ზონებად(შემდგომში – ზონა), რომელთა რაოდენობა დამოკიდებულია კანდიდატთა(მონაწილეთა) რაოდენობაზე.

მას შემდეგ, რაც ქვეყნებში დამთავრდება HIPPO–ს რეგისტრაცია, GLOBAL HIPPO ASSOCIATION–ის საერთაშორისო საბჭო, რეგიონალურ ორგანიზატორებთან ერთად, ყველა წესის სრული დაცვით, მიიღებს გადაწყვეტილებას HIPPO–ს ჩატარების ზონების განსაზღვრის შესახებ. იმისათვის, რომ ზონის არსებობა დამტკიცდეს, ამ ზონაში კანდიდატთა რაოდენობა უნდა იყოს არაუმცირეს 90-სა.

თუ რომელიმე ქალაქში(რაიონში) ვერ შეიკრიბება 90 მონაწილე, მაშინ დასაშვებია რამდენიმე ახლომდებარე ზონის გაერთიანება. გამონაკლის შემთხვევებში, მონაწილეთა ტრანსპორტით გადაყვანას ასოციაცია „ბალავარი“ უზრუნველყოფს.

თუ რომელიმე ქალაქში(რაიონში) შეიკრიბება მონაწილეთა დიდი რაოდენობა, მაშინ შესაძლებელია, ტურის ორ, ან რამდენიმე ზონად დაყოფა.

### 3. კანდიდატთა რეგისტრაცია და მონაწილეობის საფასური

ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია, კანდიდატთა რეგისტრაცია, რომელიც ორი გზით ხორციელდება: 1)ასოციაცია „ბალავარის“საიტზე ონლაინ რეჟიმში დარეგისტრირების გზით, სადაც ყოველი მონაწილის მონაცემების ცალ-ცალკე შეყვანაა საჭირო[[www.balavarigeorgia.ge](http://www.balavarigeorgia.ge) საიტის მთავარ გვერდზე, მარცხენა მენიუ -„ონლაინ რეგისტრაცია“] ან 2)ასოციაცია „ბალავარისათვის“ შევსებული სააპლიკაციო(სასკოლო და/ან ინდივიდუალური) ფორმების გაგზავნით. აქვე დავსძენთ, რომ ასოციაცია ყველა სკოლას უგზავნის HIPPO–ს სააპლიკაციო ფორმებს; აღნიშნული ფორმების მოძიება შესაძლებელია ასოციაციის საიტზეც.

საქართველოში რეგისტრაცია დაწყებულია და მთავრდება 2019 წლის 15 თებერვალს! ამ თარიღის შემდეგ რეგისტრაციაში რაიმე ცვლილების შეტანა, ან ახალი მონაწილის რეგისტრაცია აკრძალულია(!).

არაუგვიანეს 2019 წლის 19 თებერვლისა ოლიმპიადაში დარეგისტრირებულ საქართველოს კანდიდატთა მონაცემები აიტვირთება GLOBAL HIPPO ASSOCIATION–ის Hippo Online Platform-ზე(<http://soa.hippo-olympiad.org/>), ანუ საქართველოს მოსწავლეების მონაცემებიც შევა HIPPO–ს საერთაშორისო ინტერნეტ პორტალის მონაცემთა ბაზაში, რის შემდეგაც ყველა სკოლასა და ინდივიდუალურად დარეგისტრირებულ კანდიდატს მიეცემა პლათფორმაზე შესასვლელი კოდი, რაც მათ ყველა საჭირო ინფორმაციის მიღების საშ-

უაღბას მისცემს; 2019 წლის 20 თებერვალს კი გამოქვეყნდება **ოლიმპიადის** ჩატარების ადგილები (**ზონები**); ამავე პლატფორმაზე გამოქვეყნებული იქნება პირველი და მეორე ტურის შედეგებიც, რომელიც ხელმისაწვდომი გახდება სკოლის კოორდინატორებისა და ადმინისტრაციისათვის. საერთაშორისო **ოლიმპიადის** შეახებ ყველა საჭირო ინფორმაციის დროულად და ზუსტად მისაღებად სასურველია, სკოლამ დანიშნოს **HIPPO**-ს სკოლის კოორდინატორი.

2019 წლის **ოლიმპიადაში** თითოეული მოსწავლის მონაწილეობის საფასური არის **10 ევრო (ექვივალენტი ლარებში - 30 ლარი)**; ყოველი მონაწილის საფასურიდან **5 ევრო GLOBAL HIPPO ASSOCIATION**-ის საბანკო ანგარიშზე ირიცხება.

#### 4. **ოლიმპიადის მასალები**

**შესარჩევი და ნახევარფინალური ტურების** ტესტების ეგზემპლარები **ოლიმპიადაში** მონაწილე ყველა ქვეყანაში **GLOBAL HIPPO ASSOCIATION**-ის სათაო ორგანიზაციის ოფისიდან იგზავნება.

გამრავლებულ ტესტებსა და პასუხების სპეციალურ ბლანკებს - Answer Sheets(OMR forms) **ოლიმპიადის** ჩატარების ადგილებზე ასოციაცია „ბალავარის” წარმომადგენლები დალუქული კონვერტებით ჩაიტანენ, რომელთაც **ოლიმპიადის** დასაწყისში, მონაწილე ბავშვების თვალწინ გახსნიან!

**ოლიმპიადის შესარჩევი ტურის** ტესტები ორი ნაწილისაგან შედგება: **ტესტი – წაკითხულის გააზრება** (მოცემული მრავალი პასუხიდან ერთის არჩევა) და **ტესტი – აუდიო საშუალებით მოსმენილი მასალის გააზრება**.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში გაეცნობით ინფორმაციებს ტესტების ფორმატებსა და მათზე სამუშაოდ განსაზღვრული დროის შესახებ. პასუხების გასაცემად მიცემული მაქსიმალური დრო მითითებული იქნება ტესტებზეც.

#### **ტესტების ფორმატი:**

	<b>LITTLE HIPPO</b>	<b>HIPPO 1</b>	<b>HIPPO 2</b>	<b>HIPPO 3</b>	<b>HIPPO 4</b>	<b>HIPPO 5 &amp; SPECIAL 1</b>	<b>HIPPO SPECIAL2</b>
<b>READING</b>	30 questions* (1 point each)	30 questions (1 point each)	34 questions (1 point each)	34 questions (1 point each)	34 questions (1 point each)	40 questions (1 point each)	40 questions (1 point each)
<b>LISTENING</b>	20 questions (1 point each)	20 questions (1 point each)	22 questions (1 point each)	22 questions (1 point each)	22 questions (1 point each)	22 questions (1 point each)	22 questions (1 point each)

#### **ტესტებზე სამუშაოდ გამოყოფილი დრო:**

	<b>LITTLE HIPPO</b>	<b>HIPPO 1</b>	<b>HIPPO 2</b>	<b>HIPPO 3</b>	<b>HIPPO 4</b>	<b>HIPPO 5 &amp; SPECIAL 1</b>	<b>HIPPO SPECIAL2</b>
<b>READING</b>	20 minutes	30 minutes	30 minutes	35 minutes	40 minutes	45 minutes	45 minutes
<b>LISTENING</b>	20 minutes	20 minutes	20 minutes	20 minutes	20 minutes	20 minutes	30 minutes

**ოლიმპიადის ნახევარფინალური ტურის** საგამოცდო დონე შესარჩევ ტურებთან შედარებით ერთი დონით მაღალი იქნება.

ნახევარფინალური ტურის ტესტები სამი ნაწილისაგან შედგება: ტესტი – წაკითხულის გააზრება, ტესტი – მოსმენილი აუდიო მასალის გააზრება და წერითი გამოცდა – ესე(გარდა Little Hippo-სი). ქვემოთ მოცემულ ცხრილებში გაეცნობით ინფორმაციებს ტესტების ფორმატებსა და მათზე სამუშაოდ განსაზღვრული დროის შესახებ. პასუხების გასაცემად მოცემული მაქსიმალური დრო მითითებული იქნება ტესტებზეც.

**ტესტების ფორმატი:**

	LITTLE HIPPO	HIPPO 1	HIPPO 2	HIPPO 3	HIPPO 4	HIPPO 5 & SPECIAL 1	HIPPO SPECIAL2
<b>READING</b>	30 questions (1 point each)	40* questions (1 point each)	34 questions (1 point each)	34 questions (1 point each)	40 questions (1 point each)	40 questions (1 point each)	40 questions (1 point each)
<b>WRITING</b>	30 questions (1.5 points each)	free-writing task (essay)+30 questions (1.5 points each)	free-writing task (essay)+30 questions (1.5 points each)	free-writing task (essay)+30 questions (1.5 points each)	free-writing task (essay)+30 questions (1.5 points each)	free-writing task (essay)+30 questions (1.5 points each)	free-writing task (essay)+30 questions (1.5 points each)

**ტესტებზე სამუშაოდ გამოყოფილი დრო:**

	LITTLE HIPPO	HIPPO 1	HIPPO 2	HIPPO 3	HIPPO 4	HIPPO 5 & SPECIAL 1	HIPPO SPECIAL2
<b>READING</b>	30 minutes	30 minutes	35 minutes	40 minutes	45 minutes	45 minutes	50 minutes
<b>WRITING</b>	45 minutes	45 minutes	45 minutes	45 minutes	45 minutes	45 minutes	45 minutes

5. **ოლიმპიადის ტესტების ნიმუშები:** <http://www.hippo-competition.org/eng/practice.html>

**6. ოლიმპიადის ჩატარების გრაფიკი და ტესტების გასწორება**

ოლიმპიადის ჩატარების თარიღები მოცემულია წინამდებარე დოკუმენტის 1-ელ მუხლში.

**შესარჩევი და ნახევარფინალური ტურები** საქართველოს ყველა საოლიმპიადო **ზონაში დღის 12:00** საათზე ჩატარდება.

ოლიმპიადის მონაწილეთა ნამუშევრების გასწორება ხორციელდება **GLOBAL HIPPO ASSOCIATION**-ის სათაო ოფისში(ოლიმპიადის რეგულაციების თანახმად, ყველა ქვეყნის კოორდინატორი მონაწილეთა დასკანირებული პასუხების ბლანკებს(OMR ფორმებს) სათაო ოფისში აგზავნის).

ოლიმპიადის სამივე ტურის შედეგებს **GLOBAL HIPPO ASSOCIATION** წინასწარ დადგენილ დროში უგზავნის ქვეყნების კოორდინატორებს. ასევე, აქვეყნებს Hippo Online Platform-ზე, სადაც სპეციალური კოდების მეშვეობით წვდომა ექნება სკოლების ადმინისტრაციებსა და ინდივიდუალურ მონაწილეებს.

**7. ოლიმპიადის რეგულარული(ძირითადი) და სპეციალური კატეგორიები**

ოლიმპიადის მონაწილენი ერთმანეთს შეეჯიბრებიან ზოგადი ევროპული ჩარჩოების 8 კატეგორიაში (6 რეგულარული და 2 სპეციალური კატეგორია).

**იხილეთ კატეგორიების ცხრილი:**

Category	Age	Preliminary Round Level	Semi-final & Final Round Level
<b>რეგულარული კატეგორიები</b>			
LITTLE HIPPO	2009 წელს დაბადებული მოსწავლეები, ასევე, 2010, 2011, 2012 წლებში დაბადებული მოსწავლეები	CEFR Pre A1 Young Learners	CEFR A1 Young Learners
HIPPO 1	2007 წელს დაბადებული მოსწავლეები, ასევე, 2008 წელს დაბადებული მოსწავლეები	CEFR A1 Young Learners	CEFR A2 Young Learners
HIPPO 2	2006 წელს დაბადებული მოსწავლეები	CEFR A1	CEFR A2
HIPPO 3	2004 წელს დაბადებული მოსწავლეები, ასევე, 2005 წელს დაბადებული მოსწავლეები	CEFR A2	CEFR B1
HIPPO 4	2002 წელს დაბადებული მოსწავლეები, ასევე, 2003 წელს დაბადებული მოსწავლეები	CEFR B1	CEFR B2
HIPPO 5	2000 წელს დაბადებული მოსწავლეები, ასევე, 2001 წელს დაბადებული მოსწავლეები	CEFR B2	CEFR C1
<b>სპეციალური კატეგორიები</b>			
HIPPO S1	2005 წელს დაბადებული მოსწავლეები, ასევე, 2006, 2007, 2008 და ა.შ. წლებში დაბად. მოსწავლეები	CEFR B2	CEFR C1
HIPPO S2	2000 წელს დაბადებული მოსწავლეები, ასევე, 2001 წელს დაბადებული მოსწავლეები	CEFR C1	CEFR C2

**ცნებათა განმარტებანი:**

**რეგულარული კატეგორიები** – ეხება იმ სკოლების მოსწავლეებს, სადაც სწავლება ქართულ(რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ) ენებზე მიმდინარეობს;

**სპეციალური კატეგორიები** – განკუთვნილია ორენოვანი მოსწავლეებისათვის, ანუ მათთვის, ვინც დაიბადა ინგლისურენოვან ქვეყანაში, ან უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში სწავლობდა ასეთ ქვეყანაში; გარდა ამისა, მათთვის, ვინც არ დაბადებულან ინგლისურენოვან ქვეყანაში, მაგალითად, დაიბადნენ საქართველოში, მაგრამ სწავლობენ ინგლისურ/ამერიკულ საერთაშორისო სკოლაში.

**შენიშვნა:** 1) მართალია, **HIPPO S1** კატეგორიაში გაერთიანებულნი არიან ბევრი, სხვადასხვა წლებში დაბადებული მოსწავლეები, მაგრამ მათი ტესტები სწორედ ასაკობრივი რანჟირების პრინციპით გასწორდება; 2) **GLOBAL HIPPO ASSOCIATION** იტოვებს უფლებას მოახდინოს იმ მოსწავლეების **ოლიმპიადიდან** დისკვალიფიკაცია, რომლებიც მიეკუთვნებიან ორენოვანი მოსწავლეების კატეგორიას, მაგრამ არ ექნებათ ეს ფაქტი დაფიქსირებული.

**8. ოლიმპიადის მონაწილეთა ნამუშევრების რანჟირება და რეიტინგული სია**

**შესარჩევი ტურის** ყველა კატეგორიის მონაწილის **რეიტინგული სია**, ასევე, **ნახევარფინალურ რაუნდში** გასულ მოსწავლეთა გვარები(და სხვა მონაცემები) <http://www.hippo-olympiad.org>-ზე მისაწვდომი იქნება არაუგვიანეს 2019 წლის 11 მარტისა.

**ნახევარფინალური ტურის** ყველა კატეგორიის მონაწილის **რეიტინგული სია**, ასევე, **ფინალურ რაუნდში** გასულ მოსწავლეთა გვარები(და სხვა მონაცემები) <http://www.hippo-olympiad.org>-ზე მისაწვდომი იქნება არაუგვიანეს 2019 წლის 15 აპრილისა.

## 9. შანტასტიკური პრიზები

- ოლიმპიადის შესარჩევი ტურის ყველა მონაწილე მიიღებს მონაწილეობის სერტიფიკატს;
- ოლიმპიადის შესარჩევი ტურის ყველა მონაწილე მიიღებს ამერიკული სკოლის ორმაგი სადიპლომო პროგრამის- Mizzou K-12 Online High School-ის სპეციალურ ფასდაკლებას;
- ოლიმპიადის მონაწილე სკოლები და მათი სკოლის კოორდინატორები მიიღებენ მაღლობის სერტიფიკატებს;
- ფინალურ ტურში გასულ მონაწილეთა მინიმუმ 50% GLOBAL HIPPO ASSOCIATION-ის მიერ დაჯილდოვდება საერთაშორისოდ აღიარებული Gateway Awards-ის სერტიფიკატით;
- ყველა ფინალისტის თანმხლები მასწავლებელი ან მშობელი უფასოდ მიიღებს ფინალური ტურის ორდღიან ნახევარ პანსიონს (საცხოვრებელს).
- ფინალური ტურის ნებისმიერი კატეგორიის გამარჯვებულს საჩუქრად გადაეცემა Mizzou K-12 Online High School-ის სრული კურსი;
- HIPPO 5-ის გამარჯვებული დაჯილდოვდება 15-დღიანი სწავლებით მისურის უნივერსიტეტში (აშშ, კოლუმბია//თვითაღმორჩენისა და კარიერული კვლევის კურსი“).

იმ მოსწავლეთაგან, რომლებიც GLOBAL HIPPO ASSOCIATION-ის დადგენილი წესებით ვერ გადავლენ მომდევნო(ნახევარფინალურ ან ფინალურ) ტურებში, ასოციაცია „ბალავარი“ შეარჩევს საუკეთესოებს და დააჯილდოვებს სპეციალური საჩუქრებით. ასოციაციის მიერ დასაჩუქრებულ მოსწავლეთა რაოდენობა დამოკიდებულია შესარჩევ და ნახევარფინალურ ტურებში მონაწილეთა საერთო რაოდენობაზე. ასოციაციის მიერ დაჯილდოებულ მოსწავლეთა სია ვებგვერდზე გამოქვეყნდება.

## 10. პასუხისმგებლობა

ოლიმპიადის დასრულების შემდეგ მონაწილეები იღებენ ოლიმპიადის წესებსა და რეგულაციებს, რომელსაც ასოციაცია „ბალავარი“ აქვეყნებს GLOBAL HIPPO ASSOCIATION-ის მოთხოვნით. ოლიმპიადის მონაწილეთა და კოორდინატორთა მონაცემები გამოიყენება მხოლოდ ოლიმპიადის საჭიროებისათვის და არ იქნება საჯაროდ გამოქვეყნებული.

ვიმედოვნებთ, დაგვეთანხმებით, შანტასტიკურია HIPPO-ს სამივე ტურის ტესტები, ოლიმპიადის საჩუქრები და საოცნებო მოგზაურობა ფინალურ ტურზე ვენეციაში!

**ღარავინაა უფრო მნიშვნელოვანი ახლა ვიდრე მონაწილეობა ინგლისური ენის მსოფლიო ოლიმპიადაში, რომელიც მრავალი უნიკალური საჩუქრით ახარებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოზარდებს!**

**წურადღეა! დარეგისტრირებაზე აუცილებელია, მონაწილეობის საფასურის გადახდა, რომლისთვისაც არსებობს შემდეგი გზები:**

1. უშუალოდ ბანკის რომელიმე ფილიალში გადახდა;
2. საქართველოს ბანკის სწრაფი გადახდის აპარატით გადახდა;
3. ინტერნეტ ბანკით გადახდა.

### საბანკო რეკვიზიტები:

ბანკის დასახელება: სს საქართველოს ბანკი / BAGAGE22

მიმღების დასახელება: შპს საგანმანათლებლო კომპანია „ახალი ბალავარი“

მიმღების ანგარიშის ნომერი: GE92BG0000000776224000

მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი: 415090939

ყურადღება! გადახდის დანიშნულებაში აუცილებლად მიუთითეთ: კონკურსის დასახელება(Hippo), ქალაქი, სკოლის დასახელება, მოსწავლის გვარი, სახელი და კლასი.

**შენიშვნა:** მიმდინარე წელს საერთაშორისო კონკურსების ორგანიზებას ასოციაცია „ბალავარი“ შპს საგანმანათლებლო კომპანია „ახალ ბალავართან“ ერთად განახორციელებს.

საერთაშორისო ოლიმპიადა HIPPO-ს წარმომადგენელი საქართველოში: საერთაშორისო ასოციაცია „ბალავარი“;

www.balavarigeorgia.ge // E-mail: hippo-ge@mail.ru

T.: 568 981 986 // 568 002 752 // 574 106 233

25.01.2019

დანართი

**ზოგიერთი განმარტებანი:**

**GATEHOUSE AWARDS** - საერთაშორისოდ ცნობილი ლიდერი დამჯილდოებელ ორგანიზაციათა შორის, აღიარებულია კვალიფიკაციისა და გამოცდების რეგულაციების ცენტრის მიერ, ასევე – **The Office of Qualifications and Examinations Regulation, England (Qfqual)** და სხვა აღიარებულ დამჯილდოების ორგანიზაციათა მიერ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ინგლისური ენის ფართო სპექტრსა და პროფესიულ კვალიფიკაციასთან ერთად, **GATEHOUSE AWARDS** მოწოდებულია შესთავაზოს ახალგაზრდებს ინოვაციური და კრეატიული კვალიფიკაციის კურსები ინგლისსა და მის ფარგლებს გარეთ. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: [www.gatehouseawards.org](http://www.gatehouseawards.org)

**US HIGH SCHOOL DUAL DIPLOMA PROGRAM** - აშშ-ს სკოლის ორმაგი დიპლომის პროგრამა, **Mizzou K-12** ონლაინ კურსები ხელმისაწვდომია მთელს მსოფლიოში; კურსები ეხმარება სტუდენტებს თავიანთი სკოლების სასწავლო პროგრამების გაფართოვებში, რათა ისინი შეესაბამებოდეს ამერიკის საშუალო სკოლის დიპლომის მისარება მოთხოვნებს; გარდა ამისა, **Mizzou K-12** ონლაინ კურსები ამზადებს ახალგაზრდებს კოლეჯებში ჩასაბარებლად და ეხმარება შეძგომ კარიერულ ზრდაში. ნებისმიერ მოსწავლეს, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა ცხოვრობდეს იგი და როგორი ტიპის სკოლაშიც არ უნდა სწავლობდეს, შეუძლია **Mizzou K-12** ონლაინ კურსების გავლა. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: <http://us-diploma.com/>